ვიკილიქსის საქმიანობის გავლენა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რეპუტაციასა და ნდობაზე

(ახლო აღმოსავლეთი: გუანტანამოს ციხის ჩანაწერები, ერაყისა და ავღანეთის ომის დღიურები და თანმდევი მკვლელობის ვიდეო)

სტუდენტი: თორნიკე მელქუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავიდ დარჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თორნიკე მელქუაშვილი

19.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ვიკილიქსის საქმიანობის გავლენას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რეპუტაციასა და ნდობაზე, განსაკუთრებული აქცენტით ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ. გამოკვლევა ეფუძნება ოთხ ძირითად შემთხვევას: თანმდევი მკვლელობის ვიდეო, ავღანეთის ომის ჩანაწერები, ერაყის ომის ჩანაწერები და გუანტანამოს ციხის ფაილები. ნაშრომი მიზნად ისახავს განსაზღვროს, თუ როგორ დააზიანა აღნიშნულმა გაჟონვებმა აშშ-ის იმიჯი, როგორც ადამიანის უფლებების დამცველისა და საერთაშორისო წესებზე დაფუძნებული წესრიგის ლიდერისა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება შემთხვევის, შედარებით, დისკურსის და შინაარსობრივ ანალიზს. კვლევაში გამოყენებულია ფართო სპექტრის აკადემიური ლიტერატურა და მედია წყაროები, როგორიცაა "The New York Times", "The Guardian", "Der Spiegel" და "Al-Jazeera". თეორიულად, ნაშრომი ემყარება კონსტრუქტივიზმს, რბილი ძალის (soft power) თეორიასა და ნორმატიული ძალის თეორიას.

ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული მასალები ასახავს სერიოზულ დარღვევებს ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული სამართლისა და დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ აშშ-ის მთავრობა ხშირად იცავდა ან უგულებელყოფდა იმ ქმედებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის საჯაროდ დეკლარირებულ პრინციპებს. განსაკუთრებით მყისიერი და მწვავე კრიტიკა მოჰყვა გუანტანამოს ციხის ფაილებს, რომლებიც გამოავლენდა წამების, თვითნებური დაკავებებისა და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების იგნორირების პრაქტიკას.

საერთაშორისო მედია ორგანიზაციების მიერ შექმნილმა დისკურსებმა, იქნება ეს კრიტიკული, ნეიტრალური თუ ინსტიტუციურად მართული, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივ აღქმასა და პოლიტიკურ რეაქციებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დასავლური მედია საშუალებები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ჟურნალისტური ეთიკა, მაშინ როცა ახლო აღმოსავლური მედია, როგორიცაა ალ ჯაზირა, გამოხატავდა ემოციურ და მორალურ პროტესტს.

დასკვნით ნაწილში დასტურდება, რომ ვიკილიქსის რეველაციებმა არა მხოლოდ გაამწვავა საერთაშორისო სამართლებრივი დებატები და მედია ეთიკის საკითხები, არამედ სერიოზულად დააზიანა აშშ-ის გლობალური იმიჯი და შეასუსტა მის მიმართ ნდობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ის წარსულში საკუთარი დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას ესწრაფვოდა.

საკვანძო სიტყვები: ვიკილიქსი, შეერთებული შტატები, საერთაშორისო რეპუტაცია, ნდობა, რბილი ძალა, კონსტრუქტივიზმი, ადამიანის უფლებები, გუანტანამოს ციხე, ერაყის ომის ჩანაწერები, ავღანეთის ომის ჩანაწერები, ინფორმაციის გაჟონვა, საერთაშორისო მედია, თანმდევი მკვლელობა, გასაჯაროება.

Abstract

This thesis explores the impact of WikiLeaks' activities on the international reputation and trust toward the United States, with a particular focus on the Middle East. The research is based on four core cases: the "Collateral Murder" video, the Afghan and Iraq War Logs, and the Guantánamo Files. The aim is to determine how these disclosures damaged the U.S. image as a defender of human rights and a leader of a rules-based international order.

The methodological framework relies on case study analysis, comparative case study, discourse analysis, and content analysis. The research draws on a wide range of academic literature and media sources, including "The New York Times", "The Guardian", "Der Spiegel", and "Al Jazeera". Theoretically, the thesis is grounded in social constructivism, soft power theory, and the normative power theory.

The analysis demonstrates that the materials released by WikiLeaks revealed serious violations of human rights, humanitarian law, and democratic principles. The findings indicate that the U.S. government often justified or overlooked actions that contradicted its publicly declared values. Particularly harsh criticism was directed at the Guantánamo Files, which revealed widespread use of torture, arbitrary detention, and systematic disregard for international legal standards.

The discourses constructed by international media, whether critical, neutral, or institutionally aligned, significantly influenced public perception and political responses. Notably, while some Western outlets maintained a tone of journalistic restraint, Middle Eastern and European platforms like "Al Jazeera" and "The Guardian" expressed a more emotional and moral protest.

In conclusion, the thesis argues that WikiLeaks' revelations not only intensified debates over international law and media ethics, but also severely undermined the United States' global image and weakened international trust, especially in regions where the U.S. had previously positioned itself as a promoter of democratic values.

Key Words: WikiLeaks, United States, international reputation, trust, soft power, constructivism, human rights, Guantánamo Bay, Iraq War Logs, Afghan War Logs, information leak, international media, Collateral Murder, disclosure.